

ကုမ္ပဏီအိမ်ကလေး

ကုမ္ပဏီအိမ်ကလေး
ကုမ္ပဏီအိမ်ကလေး



ოქტომბერი

საქართველოს ბ. კ. თ. ცენტრალური მუშათა და
განათლების სახ. კომისიისა და მუშათა მფარველთა
წარმომადგენელთა კავშირის მიერ.

იანვარი
1933
წელი

მიიღება ხალისმორთავი 1933 წლისათვის შემდეგ საბავშვო ჟურნალებზე:

1. „პიონერი“—ყოველთვიური. წლით—8 მან.; 6 თვით—5 მანეთი.
2. „ოქტომბერი“—ყოველთვიური. წლით—6 მან., 6 თვით—3 მანეთი.
3. „კარმირ წილერი“—ყოველთვიური (სომხ. ენაზე). წლით—6 მან. 6 თვით—3 მანეთი.
4. „ენი-კუფე“—ყოველთვიური (თურქული) წლით—6 მან. თვით 3 მანეთი,
ხელმოწერა მიიღება:
 1. ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.
 2. წერილების და ვახუშტის დამტარებლებთან.
 3. ბეჭდვითი სიტყვის რედაქციებთან.
 4. სახელგამის პერიოდისექტორში.

პერიოდისექტორი. რუსთაველის გამზირი, № 34.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ზამთარი, —ლეკი ნოე დაფნარელის	1
2. შოლოდნელი ხატუქარი, —ბ. ჩხეიძის	3
3. ვანოს სიზმარი, —ლეკი გ. შატბერაშვილის	9
4. მამის ნამზობი, —შ. სამადაშვილის	11
5. ღვთის ფიქრი, —ლეკი გ. კაჭანიძის	14
6. მ. იანვარი, —ლეკი პ. საანისვილის	15
7. უპ, რა კარგია, —შ. თაბუკაშვილის	20
8. ლენინის დროში, —ინცენრობა—ავთ. კაშმაძის	20
9. ღოთი გამცდენი. —პიესა, ვადმოკეთებული რუსულიდან	24
10. თოვლი, —ლეკი ლ. კიკინაძის	28
11. გახართობი, —ა) ბურთის თამაში, ბ) შარადები	29
12. საბავშვო განყოფილება, —ა) ლენინს, —ლეკი გ. ბაღაშვილის, ბ) ზამთარი სოფლად, —ნახ. ლეილა თაბუკაშვილის, გ) ზამთარი, —მისივე, დ) სისხლიანი კვირა, —თ. გორგოლიანის	31



კათენდა, და ფანჯარაში
შემონათდა თეთრად დილა.
გამარცული არემარე
რა ღამისად დათოვლილა!

მთელ მიდამოს როგორ ჩქარა
შეუცვალა ფერი სრულად,
სახლის კართან ბედურები
საცოდავად მობუსულან!

თოვლი მოდის, ჰეპლებივით
ცვივ ღვიფქი წარბზრბ,
სახლებს თოვლი გადაჭკურია,
თითქოს ბაშბით დუფარბავთ!

შესე ხეებს, თეთრ მანდილით!
რომ მოურთავთ კოსტად თავი!
მაგრამ ცივა, და უთუოდ
დაკჭირდებ ხელთათმანი!



ზალტოც უნდა გადაიციო
 ასეთ თოვლში, ასეთ ცივ ღრუს!
 ფეხსეც ვინდა კალომში
 რომ სრულიად არ შეეციოდეს.

იცო, მერე, რა კარგია
 თამაშობა თოვლში ცივით,
 როცა მძლავ გორაკიდან
 წასრიალით ქვევით მიუქრით!

ანდა როცა საგუნდაოდ
 ორ ბანაკად გავუყოფით,
 გუნდას მარჯვედ ვპირიადლებთ
 და წამოგვდის ზირსე ოფლი!

ანდა როცა თოვლის ზოდებს
 ვაწყოთ მწუობრად, დალაგებით,
 რომ მოვაწყოთ თოვლის თეთრი
 ქარსნები და ქალაქები!

რა კარგია! მაგრამ აი,
 შესე, ბიჭო, გორას იქით
 ცივა, მაგრამ იქ ისევე
 ქუსს და გაქუსს დინამიტი!

მთას ანგრევენ. შესე — კბამლი
 თოვლს და ღრუბელს როგორ უვლის,
 მთას ანგრევენ დაძვრულებით
 საღინით და სისარულით!

მთა ინგრევა, და სმაურობს
 ქვები, ცეცხლი, სუნთქვა, რეინა!
 თოვს! ცივა! და არუმარე
 კვლავ ლამაზად დათოვლილა!



ნოე დაფნარელი.



შემოდგომაზე თითქმის შუა დეკემბრამდე კარგი ამინდები იყო. სკოლიდან დაბრუნებული სოსიკო გაკვეთილების დაშინდების შემდეგ ესოში ჩადიოდა, თამაშობდა ამხანაგებში და საუბრობდა მანკლისელ ღურგალ რუს კუხმასთან.


— იჟ, იჟ, რა მარჯვე ხელეჩოა, რა კარგი რეჟისარაა! მოსწონდა სოსიკოს და ხელში ატრიალებდა ვანრიანლებულ იარაღებს. ღურგალ რუსსაც უხაროდა თავისი იარაღების ქება და ეუბნებოდა სოსიკოს:—სამუშაოს რომ მოვათავუებ, ჩემთან მოდიო.

მუშები რომ წაუვიდოდნენ, კუხმა ღურგალი ჩაუჯდებოდა და გაუკეთებდა სოსიკოს კოვრებს, ჯოხებს და სხვა სათამაშოებს. თამაშობდა სოსიკო და ამხანაგებსაც ათამაშებდა. მაგრამ ეს სათამაშოებიც მოსწყენდა. ერთხელ მასლობელ მთაზე ავიდნენ ამხანაგები. გადახედეს შიდაშოებს და შორს თოვლით შეღვნილი კავკასიონის ვუებურთელა მთები დაინახეს.

— ხეტაჟ აქაც მოვიდნენ თოვლი!

ინატრა სოსიკომ და საჩქაროდ შინისაკენ წამოვიდა. ესოში რომ შემოვიდა, ბიძია ლევანი დაინახა, რომელიც ტალახში ამოსერილ აუტომობილს რუსინის მილით რეცხავდა და თან სოსიკოს მამას ესაუბრებოდა.

— კავკავის გზა თოვლმა შეკრა, უინვის სვაუები დგას. მაისამდე ვეღარ გადავალოთ კავკავში.



— აქ რატომ აგვიანებს, მია ლევან, თოვლი? მოვიდეს ბარემღა ჩქარა, — საყუდურით თქვა სოსიკომ.

ბიძია ლევანი წელში გასწორდა, ქუდი აიწია, ოფლი მოიწმინდა შუბლზე და სიცილით უთხრა სოსიკოს:

— შენ, სოსიკო, ალბათ კარგად ეოფილხარ მოწუობილი სასამთროდ.

— დიახ, მია ლევან, — უპასუხა სოსიკომ. — მე კარგი მამიკო ძეავეს. შემა შუა საფხულზე ვიუიდეო, დავასერსინეთ და სარდაფი ჰირამდე ავავსეთ. დედამ სათბური შემიკურა, საუელოსე კურდღლის ტყავი მომიფლო და ბებეკომაც თბილი ხელთათმანები თავისი ხელით მომიქსოვა.

— მამ კარგად ეოფილხარ მოწუობილი, — მიუგო ლევანმა და დაიღუნა მანქანის ქვეშ შესაძრომად.

— კარგად ვარ, მია, მოწუობილი, მაგრამ ერთი რაღაც მაკლია, ისიც რომ მომცა, ახჯერ მეტად გამეხარდებოდა თოვლის მოსვლა.

ლევანი ისეუ კაიძროთა წელში და სოსიკოს თვალებში მიანგრდა, თანაც ჭკითხა:

— ფეხსაცმელები?

— არა, მია ლეგან! ფეხსაცმელებაც მქვს და ბოტებიც.  სულაც არ მარწმუნებს. სულ სხვა რამაა.

— მითხარი რაა და...

ბიძიამ სიტყვის დათავება ვერ მოახწრო, რომ სოსიკომ მი-
ახალა:

— არა, არ გეტყვი, მია!

ბიძია ლეგანს ეწეინა, რომ სოსიკომ არ გაუმხილა მას, რა
სწადდა ასე ძლიერ, თანაც ესაძიონა, რომ მძინწულს მისი დიდი
მოკრძალება და სიყვარული ჰქონდა.

ლეგანმა საბუძო დათავა, თანაც ცივი წელით სელხირი
დაიბანა, გადაიკრისა ულვაშები და მინ შევიდა. მაგიდას მიუჯდა
და, მომძეული, სულის ბურვით წყენს სარბად სვრება ვეებერთუ-
ლა კოვსით. ბიცოლა ნატო მაგიდას საჭმელს უმატებდა.

— ჩემი მძინწულისთანა ბიჭი ჩვენს ნათესავებში ერთიც არ
მოგვეზოება.

ბიცოლა ნატომ ქებას კიდევ ორიოდ ქება მიუმატა და თვი-
თანაც სადილს მოუღებინა.

ოც დეკემბერს ღრუბლებმა დაფარა ცა. ოცდაერთს დილით მო-
წვიმა. ოცდაათსს მოიწმინდა და ისეთი რთვილი დადვა, რომ ქა-
ლაქის გარშემო მინდორები შუშამოფრქვეულივით ბრჭყვიანლებდა.
საღამოთი ისევ ღრუბლები წამოვიდა და ძალსეც მოწვიმა. ღამის
ათ საათსე თოვლ-ქარი ისე დახვია, რომ, როგორც ბებეკომ
თქვა, ძაღლი გარეთ არ გაიგდებოდა. სოსიკო წამდაუწუმ გარბო-
და გარეთ. სანტიმეტრებდ დაუოფილი სახასავი ეჭირა, ზომავდა
თოვლს და ასეთ ცნობს იწერდა, თან მინ მუოფებს ამცნობდა:

— ათ წუთში ორი სანტიმეტრი მოთოვა.

— ოც წუთში ექვსი სანტიმეტრი დაამატა.

ბოლოს ამოისვენა და თანაც თქვა:

— მოთოვა, სულ დილით გამოიამიდეებს და მე კი ის არა
მქვს.

მაძის უნდოდა გაეგო—რა აწუხებდა სოსიკოს, მაგრამ ამის
დრო აღარ იყო: მინ ბებეკო შემოვარდა და თითქმის მოთქამდა.

ბებიკოს წუხილს ბიცოლა ნატოს შიში დაემატა, და ოჯახში
საშინელი წუხილი გაძეფდა.

— ხალხო, — თქვა სოსიკოს მამამ, — რა დაგემართა, რა
გაწუხებთ! ლევანს ზირველად სამ არ უძგზავრია ამისთანა ამინდში.
„ამის“ ახალი აუტომობილი აქვს, ისეთი აუტომობილია, რომ,
ყოველ წუთს რომ ჩამოვიდეს გზაში სვავი, მაინც არა უშავს რა.

— ნეტავი აგრე იუოს და შინ მშვიდობით მოვიდეს, — ცრემ-
ლით თქვა ბიცოლა ნატომ.

ქუჩაზე აუტომობილები დაქროდა, ვეიროდა, ნაცნობი აუტომო-
ბილის სმა კი არსად ისმობდა. სოსიკოს ყოველ ათ წუთს შემო-
ჰქონდა ახალი ცნობები თოჯლის შესახებ.

ამან უფრო გააღრმავა წუხილი და ჯავრი. სოსიკოს მამა უკვე
მეუღლე იმის ფიქრს, თუ როგორ გასდგომოდა ლევანს დანახმა-
რებლად დილით.

თვითონ სოსიკო კი უკვე შხად იყო მამასთან ერთად გზას
გასდგომოდა და თოჯლის გორები გადაეყოლა გზაში, ოღონდც
ბიძია ლევანი გადაურჩინათ.

დილით თოვამ ოდნავ გადაიღო. მთებზე ნამქერი აღარ მო-
ჩანდა. უკვე რვა იყო დილის, რომ სოსიკოს მამა შინ შემოვიდა
და შხადება დაიწყო.

უკვე აუტომობილის გაბმული ღრიალი მოისმა. ნაცნობ სმაზე
ნატო მურდულივით გაჯარდა გზაში, სოსიკოს მშობლებიც მიჰყუ-
ნენ მას.

ლევანს აუტომობილი დავეუნებია და სანჯესთან რაღაცას ასწო-
რებდა, თანაც ძალზე ცანცანებდა. სოსიკოს მამამ თავის უძგროს
მხას ლევანს ტუქსავა დაუწყო.

— ლევან, თუ მძა ხარ, აღარსად დაიგვიანო: კინაღამ ჯავ-
რით დავისოცეთ და მთელი ღამე არ გვიძინია.

სოსიკო კი შესულიყო აუტომობილზე დაწეობილ ბარჯის თავ-
ზე და სანახავეთ სომავდა.

— უჰ, რამოდენა მოუთოვია გზებზე!
დაივეირა სოსიკომ და მამის ბუქარა დაიძახურა. მამა ისევ
ლევანს მიუბრუნდა.

— კაცო, მიხედი მაინც გვითხარი, რათ დაიკვირებ, რათ
უნდუ შუალამით ასეთ ამინდს?

— კუსმა რუსმა დამაკვირანა, შუალამედუ აწუვლა და
მოათავა. ვუებნებოდი უბრალოდ შევერა და არ დაიჯერა: თუ გა-
ვაკეთებ, ბარემლა კარვს გავაკეთებ და ის იქნებაო.

ლევანი ავტომობილზე შესტა, ეუთები გადაწია, შეცივრული
დამსრბლი სელებით, დიძილით, დიდი ამბით ამოიღო რაღაც
და სოსიკოსაკენ მიიხედა.

— აჰა, შე ცინდალო, შენა, — უთხრა სოსოს მია ლევანმა. —
ზამთარიც მოვიდა, ცივაც მოვიტანე.

სოსო თვალებს არ უჯეროდა. უცვებ უკაა გაიქცა, მობრუნდა,
კამოქანა, ისე შეასტა ბიძია ლევანს, როგორც ვუფსვის ლეკვი,
და კისერზე მოეხუია. თანაც ამბობდა:

— აი, მია, სწორედ ვე იყო რომ მაკლდა. ახლა კი ვიცუ-
რავებ!!

დასჭვივლა ბიჭებს სოსომ და წავიდენ. მთელი ქუჩის აქტომ-
ბრელებმა მოიჯერეს თავი ცივასთან.



სოსიკოს მამასა და ლევანს კი ღაზარაკი მოუვიდათ.

— კაცო, — ამბობდა მამა, — არ შეიძლება დაგვიანება. უკეთესია
ჯერ მიტყეამს, რომ ფრთხილად უნდა იმკსავრო.

— მანტიე, ძმაო, — ზასუსობდა ლევანი. — თოვლი მოდიოდა,
სოსიკოს კი ციგა არ ჰქონდა. განა ეს კარგი იყო?

— არც ამისთანა ამინდში მკსავრობა ვარება, — მიუგო მამამ
და გაბრუნდა, ლევანი კი გაემშურა იქით, სადაც სოსიკო ცურაობ-
და, და უუურებდა ბავშვების სისარულს.


მამა ბებიკოს ეუბნებოდა:

— კარგი ძმა შეაყს ლევანი, დედახეშო, მაგრამ შენც უთხარი
და ურჩიე, რომ უდროო დროს მკსავრობა არ შეიძლება.

— გენაცვალთ, შეილებაო, თქვენი დედა! — თქვა მოსტემა და
ამ დროს შემოსული ლევანი და სოსიკო გადააკაცნა. სოსიკომ ჩა-
წურა თავის დღიურში:

— ამსანაკებმა მითხრეს, რომ ჩემისთანა კარგი ბიძა არავის
ჰქვავს. არც ჩემისთანა ციგა არავის აქვს და ამ თვეში ამისთანა
მოულოდნელი საწუქარი არავის მიუღია.

ბ. ჩხიძე.



ტფილისი. 1-ლი საცდელ-საწერებელი კერა. პოლიტექნიკური სათამაშოების გამოფენა

დილით წამოხტა ვანო,
სულათ ჩაიცვა ტანსე,
დარბის, სარხარებს, სარობს,
თვალებს საღისით ავსებს.
მიუარდა შმების ლოკინს,
საბანს ჭხდის, თვალებს უხელს...

„ადექით, ოთარ, გოგი,
სიზმარი ვნახე წუსელი!

აბა, ადექით ჩქარა,
გინდათ, მოგითხრობთ აქვე?
საბანს ნუ გადაიფარებთ,
ოხ, რა სიზმარე ვნახე!“
ოთარ ბუსღუნებს:

„მაცა,
ჯერ სომ ადრეა, მესხენ!“
ვანო შესძახებს სარმაცს:
„დროა, ადექით ფეხსე!“



დგებიან...

„კარგი, და მამ
სიზმარი გუითხარ მალე!“
სტიან, იწეებენ თამაშს
და თან იფშენებენ თვალებს...
„ჭო-და წუსელი ვნახე
ჩვენი ბიძა ლენინ,
იმაჟ ტანით და სასით
და წინ გაწვდილი სულით.
იყო მსიანი დილა,
ჩვენ ვთამაშობდით ერთად.
ჩვენთანვე იუვენს ილა
და ოქტომბრული ვერა.

შევებ ჭელადი ლენინ
დიმილით გაჩნდა ჩვენთან,
ვერ დაძაღვიწვეებს ვერვინ
და ჩემს სსოვნაში რჩება!
ზირველად შევერით, ძერვ
მოვიდა, ჩაჯდა ჩვენში,
ვიცინეთ, წაფიძღერეთ,
შემოფუსწედით მსრებში.
გადაგვიძალა წიგნი,
მოკვითხრო, წაგვიკვითხა,
და იცინოდა იგი
ოქტომბრულეებში დიდხანს!
კვითხრა:
„ისწაულეთ ბეგრი!
სწაულა, სწაულა და სწაულა!
ვერას დაგვაკლებს ძტერი
და ჩვენს წინ ვუღარ წაჯა!“
და შემდეგ ადგა ფეხზე,
თავზე გადაგვისვა ხელი,
შემდეგ შორეულ კსებზე
წაფიდა ჩვენი ლენინ!
ჩვენი ზატარა ილა უძანდა:
„ძია ლენინ!
ჩვენც გვინახულე ხშირად,
ჩვენ შენ ვოჯელთვის გელით!“
ისიც, თანხმობის ნიშნად,
შორით გვიქსედა სელებს.
ტულში ხალისი იძვა,
ვილსინეთ და ვიძღერეთ!
ხეტაუ ვნახავდე კიდევ
ერთხელ ამნაირ სტუმარს...
ბაგშეები ტახტზე ისხდენ,
სიზმარს უსმენდენ ჩუმიად.

გ. შატბერაშვილი.



ზამთარია...

ბარაქიანზედ თოვს. დუმილში მყოფ სოფელს თოვლის საბანი წამოუსხამს.

ბუნრებში ცეცხლი გუსვუყვებს.

— მამა, შენ კარვად გეცოდინება და უნდა გვიანძრო მე და ზურაბს სისხლიანი კვირის, 9 იანვრის, ამბები, — უთხრა ნათელამ მამას და ანთებული თვალები შეჩანათა.

— როგორ, განა აქამდე არ იცით ეს ამბავი? — წურომით უთხრა მამამ ბავშვებს.

— ვიცით, მამა, მაგრამ უფრო მტკიცედ გეხსენებ შევინწყა-ლოთ, რომ ხვალ სკოლაში მასწავლებელს საუკეთესოდ ვუპასუხოთ, — მიუგო ზურაბმა.

მამამ ცეცხლის აღსე კადანთვალაიურა თავისი შვილები და დაიწყო ისტორიული ამბის თხრობა.

„მეფის ძთაურობის დროს მუშები დიდ ტანჯვას განიცდიდენ, ბევრ დროს მუშაობდენ და ხელფასს ნაკლებს ლებულობდენ, არ ჰქონდათ

მუშებს ადამიანური მოპყრობა და უფლება, ისინი გამუდმებით მოითხოვდნენ ჰურს ჰაწია ბავშვების დასარჩენად, უფლებას, სუფთა წყლის მოძიებას და სამუშაო დროის შემცირებას, მაგრამ მუშების მოპყრობა მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე სრულიად არ ზრუნავდა. ათეული წლებით ტანჯული მუშები ბევრჯერ გადაიყვანნენ, აჯანყდნენ თავისი ცხოვრების განსაუმჯობესებლად, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს.

1905 წლის 9 იანვრის დილას ჰეტროგრაფის ქუჩებში მიემართებოდნენ მუშათა მწკრივები გაიმყრა მღვდლის გიორგი კაპონის სელმძღვანელობით, სატყებით და ჯვრებით სულში. ისინი მუშის სასახლისაკენ მიდიოდნენ, რომ ეთხოვათ მუფისათვის მდგომარეობის მჯობესება, რომელმაც, კაპონის თქმით, არ იცოდა მუშათა გაჭირვება და რომელიც ვითომ აუცილებლად შეასრულებდა მათ თხოვნას. მაგრამ მუშებმა მუფისაკენ დახმარების ნაცვლად ცხელი ტყვიები მიიღეს, და თეთრი თოვლი უიარაღო სახლის სისხლით წითლად შეიღება.

— მუშების შვილებიც იქ იყვნენ, მამა? — იკითხა შეწუხებულმა ნათელამ.



— ჭოო, შვილო, იქ იყვნენ, და მათაც დაღვარეს ნორჩი მკვრელებიდან მსქეფარე სისხლი.

მუშები მწარედ მოტყუდნენ. ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ დაზრწმუნებული იმაში, რომ თხოვნა-მუდართით თავისუფლების მოძიება შეუძლებელია.

— მამ როგორ, მამა? — იკითხა ზურაბმა.

— თავისუფლებას მუშები მოიპოვებენ არა მშვიდობიანობის გზით, არამედ შეიარაღებული ბრძოლით, გპირული ბრძოლით.

— მაშ, მაშა, რათ დაუშვეს მუშებმა შეცთობა, მშვიდობიანობის გზით რათ შეეცადენ თავისუფლების მოპოვებას?


— ეს იმიტომ, რომ მათ მატყუარა, მოღალატე ხელმძღვანელი აღმოაჩნდათ, — ეს იყო ძღვენილი კაპონი, რომელმაც დააჯერა მუშები — შეფე თქვენს ვოკელ მოთხოვნას დააკმაყოფილებსო.

— რა ჯაღათი ეოფილა შეფე, რომ ბავშვებიც არ შეიბრალა! იცი, მაშა, ხვენ ძალიან გატულს შეფე, — თქვა ნათელას.

ბავშვებმა დადუშებულნი და დაფიქრებულნი იდგნენ. ნათელას წითელ ღოუასე - ცრემლიც კი გადმოგორებულყო, რომელიც ცეცხლის შუქსე ბრჭყეიანობდა და უფრო ამშვენებდა მის სახეს.

ნაკვერსნლები ხანდახან ნაპერწკლებს ისროდა, გარეთ კი ქარი წიოდა და დაღლილ ჰეპელებით აფრენდა თოვლის ფიფქებს...

შ. ხამადაშვილი.



ლეოს ზიქრი



რახანია ბუხართან ზის,
ძილს არ უჩანს ჰირი!
რახანია ფიქრობს ლეო—
როგორ კანდეს გმირი?
ერთი თვაბ, რაც აწვალებს
ამხაირი ფიქრი.
ფიქრში ზოგჯერ გმირია და
სადღაც ტეშით მიქრის.
ზოგჯერ სარდალს ვდარება,
ზოგჯერ კიდევ ბელადს;
ტეშებს ჭქმნის და ეს ცხოვრება
წინ წასწია ბევრად.
მაგრამ ხედავს ლეოს თვალთ—
ეს ფიქრია მხოლოდ.

ღამეა, და გმირი არ ჩანს,
ფიქრს არა აქვს ბოლო.
და წუხს იგი, ბრაზიც მოხდის:
რატომბა ბავუში?!
რა იქნება, კაცი იუოს,
საქმე ჭქონდეს ხალხში!
აბა, ასლა ამ ჰატარამ
როგორ გაწვრთნას ჯარი?!
ეჭვ, ჯანდაბას! ბავუში იუოს,
ოღონდ შერჩეს ჯანი.
გაიხრდება, დაიმუყენებს,
ბელადივით, ჩექმებს.
პრომას ნახავს, შეისწავლის,
რაც მამებმა შექმნეს.

ჯანს მოიხმარს ცხოვრებისთვის,
ნათელ გვეკებს დაწვრს.
სიმბერეებს დაიხურობს და
წინ სიხლით გასწევს.
გაიტაცა ლეო ფიქრმა,
ძილს არ უჩანს ჰირი.
დრო მიდის, და შემა იწვის,
ბავუშს ემანის გმირი.
ბავუშმა ლამის გაათენოს,
რა ეოფილა ფიქრი?!
ფიქრში იგი გმირია და
წინ უშიშრად მიქრის.

ჯიორჯი კაკაბიძე.



ცნობას სუთი წლის 9 იანუარის დღეს
მშრომელი ხალხი ზეტროგრადისა
ხატებით, ჯვრებით და სურათებით
თვის მოთხოვნებით წარსდგა მეფესთან.

„ჩვენა ძამაო, ძლიერო მეფეუ,
ძენ შეიწუნარე ჩენი ვედრება
და საბრსებო მოკუევი ზური,
მოკუევი სიტუვის თავისუფლება!“
მათ მიუძღოდათ მღვდელი კაპონი,
პროკოპატორი და კაბიჭურა,
მან ჯამუშური მოქმედებისთვის
მშრომელთა სისჯი დაიმსახურა.


მეფემ „ისძინა“ მათი ვედრება
და მოთხოვნები მან შეუსრულა:
ზურის და სიტუვის სამავციეროდ
მან ტუვის წვიმა წამოუძინა.

და ამ დღის შემდეგ პროლეტარიატს
არა სწამს შეფე, არც მის ამაღლა,
ამ დღეს შეიგნო მშრომელმა საღვსმა,
რომ საჭიროა მებრძოლი ძალა.

9 იანვარმა მათ შეასწავლა
ბრძოლა მეფესთან, ბრძოლა მეღვარი,
ოქტომბრის დრომით ჩვენ კავშიარჯუთ,
მეფეს დაუცა უცბათ თავსარი.

დღეს ჩვენ ვაძენებთ ქარსნებს, გიგანტებს.
დაბრკოლებებთან ვართ ჩვენ მეღვარი,
სოცმქენებლობას ფხიხლად დარაჯობს
პროლეტარული წითელი ჯარი.

პეტრე საანაშვილი.



უკ, რა კარგია!



მზე ჩადიოდა. ბავშვები ყვილ-სივილით აცვივდნენ მუცელსა და სართულში. ისინი ზღვის ზირას იყენენ, მაგრამ მამამ მზის ჩასვლისას არ დააცალა მათ და მინ წამოიყვანა:

— ბავშვებო, რამდენჯერ მითქვამს, ამ დროს არ შეიძლება ზღვის ზირას უოფნა, ეს ჯანმრთელობისათვის სასარალაა, — თქვა მან, და წამოვიდნენ, თუცა ბავშვებს გულით უნდოდათ მზის ჩასვლის მომნიბლავი სურათი აქვე, ზღვის ზირას, ენასათ.

— ჩვენი ფანჯარა სომ ზღვას გადმოჭურებს, იქიდან უცქირეთ, — უთხრა მათ მამამ წამოსვლისას.

მუდრო ბათობი სიბლავად ბავშვებს თავისი გრძელი, ლამაზი ბუღვართით, მესამე ინტერნაციონალის ფართო ქუჩით, რომლის ორივე მხარეს ჯარისკაცებივით გამწვრივებულიყო ჰალმები, და ზღვით, რომლის ზირას თითქმის ყოველ საღამოს გადიოდნენ, რომ ესუნთქათ სუფთა ჰაერი, დამტკებარიყვნენ მიძავალ-მოძავალი გემების ცქერით და თვალუწვდნენ ზღვასე ათამაშებული მზის სხივებით.

ბავშვები ეცნენ ფანჯარას. მზე ცაცხლმოდებული უსარმაზარი ბურთივით ნელ-ნელა ჩაეშვა ზღვაში. ღრუბლები ხან წითლად ელავდა, ხან მტრედისფრად. ყოველ წუთს იცვლებოდა მათი ფერები, და ზღვაც სულ სხვადანსვანაირად გამოიყურებოდა. ღია ფანჯარაში შემოდინდა ზღვის სუფთა ჰაერი, ფანჯრის წინ ოდნავ შრი-ალეებდა ჰალმები და მანდარინები. ნახსადგურიდან მოისმა გემის კვილი, და ცოტა ხნის შემდეგ გამოხნდა უსარმაზარი გემი, რომელიც თანდათან ჰატარავდებოდა, მიეშურებოდა — შორეული კონსტანტინეპოლისაკენ.

— უკ, რა კარგია! — წამომასხა ცირამ, და როდესაც სიბნელე დაეშვა ზღვასე, ბავშვებმა დასურეს ფანჯარა...

— მამიკო, მამიკო! — დაიმასხა ცირამ, სკოლიდან დაბრუნებული რომ არბოდა სხვა ბავშვებთან ერთად კიბესე. — შესედე, რანაირი კაცია, რეზომ მომცა! — და გაუწოდა მამას რაღაც სურათი. მამამ დასედა.



— მაშეო, რა არის ეს, რომ ზქეს ჩამოცმული?

— ვინ არის, მაშეო, ეს? ახმაურდენ ბაჟუები. მამას გაეცინა.

— გეტყვით, გეტყვით, თუ გინტერესებთ...

და მამამ უამბო მათ:

— ეს, ბაჟუებო, წებლმუვინთავია. მას განსაკუთრებული ტანისამოსი და ფეხსაცმელები აცვია; რაც 85 კილოგრამს იწონის. ის ჩადის წებლში ღრმად და იქ მუშაობს...

— შერე, ხომ დაიხრჩობა! — იკითხა გაკვირებულმა რუსომ.

— არა, არ დაიხრჩობა, რადგან რუსინის მილით ჰაერი მისდის წებლმუვინთავს, და ისიც მშვენივრად სუნთქავს წებალქვეშ.

— ჩვენი სასლი რომ დაიძალოს წებლში, იმწელა წებლშიც ჩავა? — წაშოიძახა რაფომ.

მამას გაეცინა.

— აბა შესედე ამ ალვის სეს, სომ ძალადია? ათი ამისიძალეც რომ იუოს წებლი, წებლმუვინთავი მაინც ჩავა იქ.

46 მეტრის სიღრმეზე მას მხოლოდ ნახევარ საათს შეუძლია გაძლება, შერე კი უნდა ამოვიდეს და საათსახვევარი დაიხვენოს.

— რა უნდა, წებლში რომ ჩადის? — თქვა რუსომ.

— სდევსე ხანდახან იღუპება გემი, გემზე ბევრი სიმდიდრეა, ღვითან გემიც ძალიან ძვირი ღირს. როგორ ფიქრობთ, ბაჟუებო, ღირს თუ არა გემის ამოღება?

— შერე, ერთი კაცი ამოიღებს? — გადინხრჩნრეს ბაჟუებმა.

— არა, წებლმუვინთავი ჯაჭუებს ჩაბამს რომელიმე საგანს და დაიძახებს — ახწიეთ ძალდაო.

— სა-სა-სა! — ატუდა ბავშვების სიცილეკისკისი.

— მამიკო, რას ამბობ, ვინ გაიგონებს, ძალიანაც რომ წყვილი
როს, ის ხომ წყალშია, — და ბავშვებმა ასევესაღვის სეს, რომლის
კენწეროსე შემომჯდარი ვვაგი ძლივს მოჩანდა.

— გაიგონებენ, ბავშვებო, გაიგონებენ. და ასწევენ ჯაჭვებს. მე-
რე სსვა ნიუოს ჩაბაძს წყალმეფინთაფი ჯაჭვებს და ახლა იძას ას-
წევენ.

— რანაირად გაიგონებენ, თქვი, მამიკო, თქვი!

— ტელეფონით.

— სა-სა-სა! — კიდევ გადინარსარეს ბავშვებმა.

— რას იცინით, მე არ გეხუმრებით. წყალმეფინთავს ეურებსე
ტელეფონის მიღები აქვს გაკეთებული და ესმის, რასაც სევიდან
დაუძახებენ.

— უჰ, რა კარგია!

— ნეტა მეც ჩამიუვანა წყალში!

— რა უნდა დაინახოს წყალში, არ ბნელა იქ?

— ჰო, ეს კარგი კითხვაა. იქ ისე ბნელა, რომ სანდახან ძა-
ლიან კარგი ელექტროლაზმფაც, რომელიც თან აქვს წყალმეფინ-
თავს, ვერ ანათებს ისე, როგორც საჭიროა.

— მსოლოდ ნიუთებს ამოიღებენ, კეპი კი მაინც იქ დარჩება...

— არა, კემსაც ამოიღებენ, მთელ კემს. მაგრამ ძალიან ძნე-
ლია წყალმეფინთავის მუშაობა: ის ხან რომში ჩავარდება...

— რომელ რომში? — გასწევეტინა სიტუვა ციალამ.

— მოიცა, დამაცადე ლაზარაკი, — უთხრა მას მამამ. — სღვის
ფსკერსე არის რომოები; სოგან იქ დიდი ქეებია, სოგან ისეთი
ლაფია, რომ, ფესს დაადგამ თუ არა, წყალი ისე აიძღვრევა, რომ
აღარაფერი არა ჩანს...

— წყალმეფინთაფი ხომ ნახავს სსვადასსვა თევის, ცნოველებს!
გაბრწევიეებული თვალებით გატაცებით თქვა ციალამ.

— უჰ, მამიკო, როგორ მინდა, რომ იცოდე, სღვის ფსკე-
რის ნახვა! რამდენი თევისი იქნება, რამდენი რამე, უჰ! — დაი-
ძახა რეზიკომ, რომელსაც ჩაწეო სელები შარვლის ჯიბებში

და მუდამ იმის ნატვრად იყო, როდის იქნება მეც დიდი
უნდო.



მამამ კიდევ ბევრი რამ უამბო ბავშვებს წუალქვეშ მომუშავეთ-
შესახებ, და ისინი სან განაბული უსმენდენ, სან გადაინარჩუნებ-
დნ...

*
*

სადამო იყო. ზღვის ჰირას აქა-იქ ხალხი მოჩანდა. ერთ ადგი-
ლას რამდენიმე ბავშვი იყო თავმოყრილი და ერთი მათგანი ეუბ-
ნებოდა მალაღ კაცს, რომელიც მათთან იდგა:

— აი ის დიდი გემი რომ დაიდუჭოს, იმასაც ამოიღებენ
ზღვიდან?—და თითხ იშუერდა ნაუსადგურში მდგომი უსარმაზარი
გემისაკენ.

— იმასაც ამოიღებენ, მამ როგორ გკონია...

— უჭ, ნეტა მეც ჩამიუვანა ზღვის ფსკერზე!—წამოიძახა ჯიბუ-
გბძისელებისწუბილმა ჰატარა ბიჭმა და კიდევ უნდოდა რაღაც
უთქვა, მაგრამ გოგონამ დაიუვირა:

— შეხე, შეხე, გემი მოდის!

მორს დიდ შავ წერტილად მოჩანდა რაღაც, რომელიც თანდა-
თან დიდდებოდა. ეს გემი იყო, რომელსაც მოჭევაჯდა ხალხი, მო-
ჭქონდა ნაირ-ნაირი საქონელი.

ხმაური გაისმა. აისეღეს—ცაში სრიალებდა რკინის უსარმა-
ზარი ფრინველი.

— აი, ბავშვებო, ადამიანი დაფრინავს ცაში, დაცურავს წუალ-
ზე, ჩადის წუალში და ზღვის ფსკერზე ეძებს დაღუპულ გემებს...

გემი ამაყად მოაპობდა წუალს, აეროპლანი დასრიალებდა
დრუბლებში, ცელქი ჰატარა თევზები სან აქ, სან იქ ამოსტებო-
დენ ზღვიდან, რომ იმ წამსვე ჩამალულიყვნენ წუალში, ბავშვები კი
ცხვირსასოცის ქნევით ესალმებოდნენ ნაუსადგურში შემავალ გემს.

კრილი სიო ჭქროდა. თვალწუღენელ ზღვას დასწერებოდნენ
ჩამავალი შინის სსიყებით სსუადანსსუა ფერად შეღებილი დრუბლები...

მ. თაბუკაშვილი.

ლენინის ღრუბით

(ინსცენირობა)

ქართული
ხალხთა

სცენასე გამოდის მასწავლებელი, რომელსაც ხელში
ლენინის სურათი აქვს. ის მიმართავს ბავშვებს.



მასწავლებელი: აბა, ბავშვებო, ვინ შეტყუის მალე,
ვისი სურათი მიჭირავს ხელში?

მოწაფეები: მია ლენინის, რომელიც ცოცხლობს
უველა ზაწაწა ფოლადის მკერდში.

მასწავლებელი: სად დაიბადა მია ლენინი,
აბა თუ გახსოვთ, ასწიეთ ხელი.

მოწაფეები: ქალაქ სიმბირსკში, მასწავლებელო,
სუენი ბელადი და სელმძღვანელი.

მასწავლებელი: დაძვირეთ ვური, ბავშვებო, უველამ
ხელი, ოთარო, მუნც, კოკი, კოლა,
ვანტო, რესიკო, ჰეტო და ლელა, -
მსურს თქვენ ვიამბოთ ლენინის ბრძოლა.
მისი ცხოვრების, ტანჯვის და შრომის



მოკლე სურათი მხურს გადავხედო,
 რომ ჩვენაც იმის ნაბიჯებს ვაუწყეთ
 და ბოლოს დრომა უფრო ვაგმავლით.
 ის დაიბადა იმ დროს, როდესაც
 ხალხი მონობის კლანჭებში თრთოდა
 და ნაწერწკლები მოძავალ ბრძოლის
 მათ მიუხეობულ გულებში კრთოდა.
 ლენინი მისედა მათ გულისწადილს,
 რუსეთის მხარეს მოედო ალაღ,
 იშვა ბრძოლების ახალი წამით
 რევოლუციის სიღვა ქარიშხალად.
 ის ამ ქარიშხალს ჩაუდგა მკერდით,
 მომართა საჭე — თქტომბრის აფრთ,
 და მავ უკუნეთ რუსეთის გულში
 ტანჯვა-წამების წუთები გაქრა.
 ეს მოიტანა ლენინმა მაშინ,
 ცხრანას ჩვიდმეტის ბობოქარ წლებში,



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშრომელმა მასამ ჰარტიის გვერდით
წითელი დრომა აიღო სკლამი.
და დღეს ცხრა წელი ქსნულდა უკვე,
რაც დიდ ბელადის ვერცხვებდავთ სახეს,
მისი სსეული ვერ შეაძინა
ველარც ციმბირმა და ველარც მასემ.

მოწაფეები: ნორჩი თაობა ფიცსა ვდებთ მედგრად,
რომ ძირს არ დაფხრით ლენინის ალაამს,
მსოფლიოს უკვე ქარცეცხლში ვხვდებით,
დანაერულ ერებს ხეუნ ვუძღუნით სალაამს.
მეორე ხუთწლედს ვაძენებთ მედგრად,
საძირკველს ვხვდებით ძმლედ ამოუყანილს,
სალამი, ვაძა ჰარტიის ცეკას,
ლენინის მებრძოლ ამხანაგ სტალინს!
(ინტერნაციონალი. სცენა წითლად ნათლებს).

ავთანდილ კაშმაძე.



საბავშვო კერის უმცროსი ჯგუფი ამზადებს კედლის გაზეთს.



მომხადნი: ხელმძღვანელი
პატარიძე
ბერიშვილი
ბაბო
კოტე
პატარიძის ცოლი
ტრაქტორისტი
კოჭლი ქალი
5-7 ყმაწვილი მონაწილე-
ობს პიესის დასაწყისში.

პირველად სცენა წარმოადგენს მსახიობთა საპირფარეშოს, ქარხნის კლუბში, მერე პატარიძის ბინას.

ბაბო: მოვა თუ არა, ნეტაეი, მამა დღეს ჩვენს წარმოდგენაზე?

კოტე: მოვა. ჩვენ წარმოდგენას „გამკლენებს“ რომ ნახავს, აძლენი არაყის სმას თავს დაანებებს. აი ნახავ. პიესა ისეთია, რომ ხალხს აატირებს დარბაზში. მამასაც მოხვდება გულში, რკინის კი არ არის. (შემოდინ ყმაწვილები, რომლებიც პიესაში მონაწილეობენ. ყმაწვილები იცვამენ წარმოდგენისათვის).

ხმები: — ვანო, ვასინჯე პარიკი.
— ამ წუთში, ახლავე.
— დაიცა, ერთ წარბზე საღებავი მოვიმატო.

— რა უყავით ქვარტლი?
— მომაწებთ, რაღა, უფლებები?
— შავი ტრუსები ჩაიცვალა?
— მიშა ჩქარა იქნება მზად?
— შარვალი ზერ ნახა.
— რა ვქნა იუშარვლოდ?
— იმკითხავე და თვითონ მოვა.

(მიშა წუწუნებს)
— დააუშვდი, ერთი, აქ იქნება სადმე კალათში.

ხელმძღვანელი: უმთავრესად გახსოვდეს: წინ ნუ მირბიხარ, ნუ გაჩერდები ერთ ადგილას კუნძივით. ძალიან მანქვა-გრეხას ნუ დაიწყებ, მაყურებლებს ზურგს ნუ შეიკევე.

ბაბო: შიშისაგან ყანყარო გამიხმა. (იყურება ფარდის ქუქრუტანაში) უჰ, რამდენი ხალხი მოსულა. ოხ, ერთი სიტყვაც აღარ მახსოვს.

ხელმძღვანელი. აბა, ყმაწვილებო, ყველაფერი მზად არის. (გამოდის ფარდაში მაყურებლებთან. დარბაზში შუა ვასასველელ ადგილას მოდის ივანე ბერიშვილი, კოტეს და ბაბოს მამა)

ბერიშვილი: სად შეიძლება დავჯდე?

ზედამხედველი: ბილეთი გაქვთ?

ბერიშვილი: აი ბილეთი.


ზედამხედველი: მაშ დავკეით და ნიშნულ ადგილზე.

ბერიშვილი: მე, მეგობარო, უფრო ახლო მინდოდა, იმიტომ რომ ჩემი ორივე შვილი წარმოდგენაში მონაწილეობს.

ხელმძღვანელი: რა გვარი ხართ?

ბერიშვილი: ბერიშვილი. კოტე და ბაბო ჩემი შვილებია.

ზედამხედველი: მობრძანდით, აი თქვენი ადგილი. ზედამხედველი პირველ რიგში აძლევს ადგილს, ბერიშვილი ჯდება).



ბერიშვილი: აბა, აქ გამოვიჭიმები.
ხელმძღვანელი: ამხანაგებო! ამ კლუბში ჩვენ ხშირად ვმართავთ წარმოდგენას სააგიტაციოდ და ვასართობად. ჩვენი მოქმედი წრე ხალხს შეუყვარდა. ჩვენ თვითონ ვთხზავთ პიესებს, თვითონვე ვასახიერებთ. ჩვენს გმირებს. აი როგორც დღეს, მაგალითად. ჩვენ ვიწყებთ პროგრამას, და თქვენ ნახავთ საშინელ დრამას გამცდენი ივანე პატარიძის შესახებ.

ცვირსახოცები მოიშალდეთ ხელში. თქვენს შორის არის ერთი მუშა, რომელსაც არ უნდა თავი დაანებოს ლოთობას. შვილები ჰყავს მასაც, ქალი და ვაჟი, სწორედ ისეთები, როგორებსაც ახლა აქ სცენაზე ნახავთ. (ხელმძღვანელი მიდის სცენაზე ფარდის უკან. იხსნება ფარდა. სცენაზე მიშა პატარიძის ოჯახია).

პატარიძის ცოლი (კერავს და მღერის):

ოჰ, სიცოცხლე გავირებულო.
 მწუხარება და ჯავრი მხბრჩობს!
 ჩემი ქმარი ივანე
 ლოთობს და ლოთობს!
 მეშინია, ქარხნიდან
 დაიხზოვენ, როგორც გამცდენს.
 დავიღუპე, რალა გქნა:
 ოჯახს, ბავშვებს ვინღა გვარჩენს.

ბერიშვილი (ადგილიდან): ერთი ამას უყურეთ!

ბაბო (პატარიძის გოგონა): სკოლაში მაშის გულისათვის დაგვკინიან, დაგვკინიან უწყალოდ. საშუალება რამ უნდა გამოვჩახოთ, რომ მამა ვიხსნათ ლოთობისაგან.

კოტე (პატარიძის ვაჟი): საშუალება ერთი კი არა, სამი გამოვჩახეთ. მხოლოდ ჯერ ბამბადლა ნუ ლაპარაკობ

კობ ამის შესახებ. მოვა თუ არა მაშინ, ყველა სამივე საშუალებას გამოვიყენებთ.

ყველაფერი მზად გაქვს?
 (შემოდის ივანე პატარიძე)
პატარიძე (მღერის): ხუთშაბათს მე მეზობლებმა დამპატიეს.

დღეობა ჰქონდათ.
 დამაფიწყდა პრომფინპლანი და დისციპლინაც.
 არაყი ვსვი, ვისეირნე მე ორიღამე.
 საშუალო დღეს მეძინა, დამაფიწყდა მე.

ბერიშვილი (ადგილიდან) იპ, უტიფარი ლოთი! თუმცა...ჰმ... შეიძლება ყველას შევთხზავს...

ცოლი: მერე, არ გრცხვენია? ორი დღეა ოჯახში არ შემოვიხედავს. გავამწარე, სად დაიკარგე?

პატარიძე: სუს!
პოტე და ბაბო: ჩვენ სკოლაში დარაზმში დაგვკინიან, „გამცდენის“ შვილებს“ გვეძახიან.

პატარიძე: სუს!
ცოლი (ტირის)
პატარიძე: სუს!
ბაბო და კოტე (ღრიალებენ)
პატარიძე: სუს!

ბერიშვილი (ადგილიდან): ერთი ამას უყურეთ, რა ბრაზიანი ყოფილია (კოტე და ბაბო ჩუმად ჰკიდებენ კედელზე მაშის დიდ სურათს წარწერით „ლოთი გამცდენი“).

პატარიძე: ეს ვინღა არის? ნაცნობს ჰგავს.

ბერიშვილი (ადგილიდან): ოი, ეს რა ამბავია? წვერი თითქოს ჩემსას მიუზღვეს და თვითონაც...

ხმები ხალხიდან: ჩუმად! ნუ გვიშლით!

პატარიძე: თითქოს მე მგავს.

ბავშვები: ჰო, ჩენი და შენი ნათესავია.

პატარიძე: ვინ არის, არ იტყვი?

კოტე: გამცდენი ივანე პატარიძე.

ბერიშვილი (ადგილიდან) ხე, ხე, ხე, პატარიძეა მისი გვარი, ჩემი კი ბერიშვილი. მე რამე ამაღლევა.

ბაბო: შენი პორტრეტი ქარხნის კიშკარზე მიაკრეს. აუფარებელი ხალხი უყურებდა, ყველა იცინოდა, მხოლოდ ჩვენ არ გვეცინებოდა. სირცხვილია, მამა, სირცხვილი.

პატარიძე: ჩემთვის სულერთია. ეკიდოს, რა შენაღვლება. ჯანდაბას, (სვამს არაყს)

ბერიშვილი (ადგილიდან): ჰო, ჰო! კარგი აქ არაფერია, ძმავ!

კოტე: ვერ უშველა! პირველმა საშუალებამ არ იმოქმედა.

(ბაბოს.) მოდი, მეორე ესინჯოთ!

(ბაბო ნიშანს აძლევს კულისებში. კარებს აბრახუნებენ)

პატარიძე შემოდი (შემოდის კოქლი ქალი).

ქალი: მელითონე პატარიძე აქ ცხოვრობს?

პატარიძე: ჩვენ აქა ვართ.

ქალი (ყვირილით): აი შე ავაზაკო, ლოთო. ერთი აქეთ გამოიხედე, ეს რა არის?

პატარიძე: ფეხი.

ქალი: მხეცო! ჯირკო! შენი გულსათვის დაჯოკლდი, შე აფთარო! მუხრუჭებს შენ არ აკეთებ?

პატარიძე: მე ვაკეთებ.

ქალი: მოიტა საექიმო ფული, თორემ სასამართლოში ვიჩივლებ.

პატარიძე: რა ჩემი საქმეა!

ქალი: ავტომობილის მუხრუჭი უფარგისი იყო და წამაქცია გზაში. შენ, შენ ხარ მიზეზი! მთელი შენი მუშა-

ობა წუნია, შენ ქარხნის მტერზე რეცი ხარ! (კარს არახუნებენ).

ტრაქტორისტი (შემოდის) ვრობს მელითონე პატარიძე?

პატარიძე: აქ.

ბერიშვილი: საიდან მოასკდა ამდენი ხალხი!

ტრაქტორისტი: ჩვენმა კოლმეურნეობამ ახალი ტრაქტორი იყიდა. სწორედ გაცხარებული მუშაობის დროს გაფუქდა. პურის აღება ჩაიშალა. შენ ხარ ამის მიზეზი. შენი ბრალია, რომ მანქანა გაფუქდა. შენ კოლმეურნეობის საშინელი მტერი ხარ.

ქალი: რამდენი ხალხი დალუპა მაგან. ქარხნიდან გამოსაგდება!

ბერიშვილი (ადგილიდან): მოხვდა ვებატონს, ასე ეკადრება მაგან!

პატარიძე: დამეხსენით, დამეყარავთ აქედან! (ავლებს ტრაქტორისტსა და ქალს) უწინ, როდესაც არაყს არ ესვამდი, ასე ხომ არ ყოფილია, პირველი ოსტატი ვიყავი. მთელ ქარხანაში მქონდა სახელი განთქმული. რასაც ეღებულობდი, სულ ოჯახში მიმქონდა.

ბერიშვილი (ადგილიდან): ეს იყო, ძმავ, მაგრამ ახლა აღარ არის. თვითონ ხარ დაშნაშევე.

ხმები: დაჩუშდიო!

პატარიძე: ახლა კი, ოოჰ, ახლა ასე აღარ არის... (ისხამს არაყს ჭიქაში)

ბაბო: მეორე საშუალებაც არ გამოდგა.

ბერიშვილი (ადგილიდან): ეჰ, ერთი ამას უყურეთ, კიდევ თავისას არ გაიძახის!

ხმები: ვთხოვთ, ხმამაღლა ნუ ლაპარაკობთ. გვიშლით.

კოტე (პატარიძეს): რადგანაც შენ არ გინდა არაყის სმას თავი დაანებო, მე და ბაბო მივდივართ სახლიდან. აჰა, წაიკითხე ეს გაზეთის განცხადება.

პატარიძე (კითხულობს): ჩვენ, პიონერები კონსტანტინე და ბარბალე ..
ბერიშვილი: როგორ თუ კონსტანტინე და ბარბალე?

პატარიძე: და ბარბალე პატარიძეები, ვაცხადებთ, რომ ჩვენ არ გუსურს ისეთი მამა, როგორიც ჩვენია და მივიღივართ საცხოვრებლად საბავშვო სახლში.

კოტე: ჩვენ არ გვინდა მამა გვეყვდეს ლოთი და გამკლენი.

პატარიძე: უსიციველოები, არამზადები! სუს! თქვენ ღვიძლ მამაზე იღებთ ხელს? წაეთრიეთ, სადაც ვინდათ. დაიკარგეთ, უთქვენოლაც ვიცხოვრებ! (სვამს).

ბავშვები: მშვიდობით, მამავ!(მიდიან კარებისაკენ)!

ბერიშვილი: დაიკათ, დაიკათ! მიდიხართ, ბავშვებო? დაიკათ მეთქი, გვუზნები. რა წარმოდგენა გამართეთ ეს—გასაგონად გულშემზარავი, სანახავად საშინელი!

ხმები: დაჯექით, დაჯექით თქვენ ადგილას!

ბერიშვილი: არ შემიძლია დაჯდომა, ძმებო! აბა როგორ დაჯდეთ, გული ყელში მებჯინება (ავარდება! სცენაზე.)

ხმები: სად მიდის! გააჩერეთ! ძირს აცალეთ, დაათაონ პიესა.

ბერიშვილი: არ დაეცდი! არ მსურს და იმიტომ, ამხანაგებო! როგორ შეიძლება, ბავშვები მიდიან!

რასაკვირველია, დამნაშავე ვარ... მე მინდოდა მეთქვა, ამათი მამაა და-

მნაშავე მეთქი, მაგრამ ახლა რაღაც შეველება უბავშვებოდ, უბავშვებოდ, ძმებო, არავითარ შემთხვევაში... შეიძლება. მე ჩემ თავზე ვიტყვი... მეც არაყის სმავი... ვაცლენაც, რასაკვირველია, თავისთავად ცხადია... მაგრამ რომელი მამა გაყიდის შვილებს არაყზე! ჯანდაბას არაყი!

ხმები. მოაშორეთ ეს ვილაცა არის! აურ-დაურია ყველაფერი! დაიცა, გაათაონ სპექტაკლი!

ბერიშვილი: კოტე, ბაბო! აბა როგორ იფიქრეთ მამის მიტოვება?

ბავშვები: იმიტომ რომ შენ არაყის სმას თავს არ ანებებ.

ბერიშვილი: პო, მაშ თქვენ მართლა გაიქცეოდით?


ბავშვები: გავიქცეოდით.

ბერიშვილი: ოპ, როგორ შემაშინეთ. სული და გული შემიწუხდა. ამსიქით ერთ წვეთ არაყს აღარ ჩავუშვებ პირში. საშუღამოდ ხელს ავიღებ ლოთობაზე, პირობას ვდებ. გათავდა ამაზე ლაპარაკი. ამხანაგებო! ვაცხადებ საყოველთაოდ, თუ რომ ერთი დღე მაინც გავაცდინო, გამაგდეთ ქარხნიდან, მაშინვე გამაგდეთ.. (ჩამოდის სცენიდან დარბაზში).

(ფარდა იხურება ფარდის წინ სპექტაკლის მონაწილენი გამოდიან და ყველანი მღერიან)

ვიბრძოლეთ, როგორც შეგვეძლო... მივალწიეთ მიზანს!

გვიხარია, რომ დღეიდან აღარ დაღვეს მამა არაყს!



წუხელ წენარი დაბე იყო,
ქარი სეებს არ არსევდა,
ვინ იცოდა, თუ ეს თოვლი
ამდენ ფთილას დაახვევდა.

რომ ვაღლო გივლამ კარი,
ეზო იყო ბაშბასავით,-
სეებს სქელი კაბა ვცვდა
თოვლის თეთრი საშოსავის.



გივლამ მშობლებს შეახარა
თოვლის ასე წენარად მოსვლა,
და მშობლების ღაპარაკში
იგი უცბად შეიძინა...


ამკვარ დარში უფრო მეტი
თაშაში და სწავლა უნდა,
კაქრა გივლა სკოლისაკენ,
განსროლა თოვლის გუნდა.

ლავრ. კვიციანიძე



ბურთის თამაში ყველამ იცის. იცით, უთუოდ, ბურთის მატლა ასროლა და დაქერა, ბურთის გადასროლა ამხანაგისათვის, გაგორებაც. მაგრამ რა უფრო ადვილია: დიდი ბურთის მატლა აგდება და დაქერა, თუ პატარის? ბურთის გადასროლა ამხანაგისათვის, თუ გაგორება? აი თქვენ თვითონ შეადარეთ და თქვით აქ მოყვანილ თამაშობათა მიხედვით.

პირველი თამაში. წინ მიდის ხელმძღვანელი, უკან მიჰყვებიან ბავშვები ბატებივით, ერთიმეორის შემდეგ. ხელმძღვანელს დიდი ბურთი უჭირავს. უცებ ხელმძღვანელი შეჩერდება.



ბავშვები ჰკიდებენ ერთმანეთს ხელს და აკეთებენ წრეს ისე, რომ ხელმძღვანელი წრის შუაგულში იდგეს. შემდეგ ბავშვები ყვლანი უნდა ჩაცუქდნენ, ხელმძღვანელი კი რიგ-რიგობით უგო-



რებს ყველას ბურთს, თანაც სიმღერით ამბობს: „გასწი წინ, დაბრუნდი, გასწი წინ, დაბრუნდი“. როდესაც იტყვის „გასწი წინ“, ბურთს უგორებს ერთ-ერთ ბავშვს, როდესაც ამბობს „დაბრუნდი“, ბავშვმა უკანვე უნდა გაუგოროს ბურთი ხელმძღვანელს. უცებ ხელმძღვანელი ყვირის: „შევცვალეთ“. თუ ამ დროს ბურთი ხელმძღვანელისაკენ მიგორავს, ის სტაცებს ხელს ბურთს და მირბისახალ ადგილზე. ბავშვები ყველანი მისდევენ, რომ ხელახალი წრე გააკეთონ. როდესაც ხელმძღვანელი გაჩერდება. თამაში ხელახლა იწყება, თუ ხელმძღვანელი დაიძახებს: „შევცვალეთ“ იმ დროს, როდესაც ბურთი რომელიმე ბავშვისაკენ მიგორავს. მაშინ ბავშვი სტაცებს ბურთს ხელს და მიარბენინებს. ყველანი მას მისდევენ. ის ჩერდება წრის შუაგულში, და თამაში ისევ ისე გრძელდება.

თუ რომელიმე მოთამაშე გაგორებულ ბურთს ვერ დაიჭერს, ახ
ის, რომელიც გაგორებულ ბურთს წაართმევს ამხანაგს, რომელსაც
ხელმძღვანელმა გაუგორა, ასეთი ბავშვები თამაშობიდან ირიცხებიან.



ვინც არცერთხელ არ შეცდება, თამაშში მოგებულად ითვლება: ეს
იმას ამტკიცებს, რომ მართლა კარგად იცის ბურთის თამაში.

მეორე თამაში. თამაშობენ ისევ ისე, როგორც პირველს, მხო-
ლოდ ბურთს კი არ უგორებენ ერთმანეთს, არამედ უგდებენ ხოლ-
მეც. რასაკვირველია, ჩაცუსტება არ არის საჭირო, როდესაც ირგვლივ
წრეს გააკეთებენ.

მარაბუი.

1. პირველი ჩემი ნაწილი არის ფრინველი, მეორე — ხილის უკა-
ნასკნელი მარცვალი, მთლად კი სასიამოვნო მცენარე ვარ.

2. პირველი ჩემი ნაწილი ხილს აქვს, მაგრამ ჩვენთვის საჭიროა პი-
რველი ნახევარი, მეორე — დედელამის ნაწილია, მესამე — ორმარ-
ცვლოვანი სიტყვის ბოლოა. მთლად კი ის არის, რის მოშენებასაც
გვაუალებს საბჭოთა მეურნეობა.

3. აიღეთ გოგონას ტანისამოსი, მოაკელით პირველი ნახევარი,
შუერთეთ საყვარელი ჩასაჯდომის პირველი ნაწილი, მიუმატეთ
თანხმობა. მთლად — ზაფხულობით სასიამოვნო საცხოვრებელი აღგი-
ლია ყველა ოქტომბრელისათვის.

№ 11—12-ში მოთავსებულ გამოცანათა ახსნა.

ჟურ. „ოპტომატრალის“ მკითხველთაის წერილები ჩადატვიჩისადმი.

მე გამოვიცანი ხალხური გამოცანებიდან 1-ლი, რომელიც ნი-
შნავს წისქვილს, და მარიჯანიძის ორივე გამოცანა. პირველი ნი-
შნავს ელექტრობას, ხოლო მეორე — გაზეთს.


რუსუდან აღლამე.

გამოვიცანი ოთხივე გამოცანა. პირველი არის წისქვილი, მეო-
რე — ჩიბუხი, მესამე — ელექტრობა და მეოთხე — გაზეთი.

ბიძინა ღვინიაშვილი.

კარდაიცვალე, ძვირფასო ლენინ,
 მაგრამ საქმე კი არ მოგიკვდება,
 ჩვენ ბუღამ ვივლით, ლენინ, შენი გზით,
 შენი სიტყვები არ გვაჭიწვდება.
 ჩვენ შევასრულებთ შენს ძვირფას ანდერძს,
 ვისწავლით კარგად, ვიბრძვით შედგენად,
 რომ მძლე დადგეს სოციალისმი,
 განთავისუფლდეს მსოფლიო მოკლად.

IV ჯგ. მოწ. გულნარა ბალოშვილი.



ჯამთარი სოფლად.

ნახატი ლეილა თაბუჯაშვილის (10 წლის).



ზ ა მ თ ა რ ი

სამთარია. სწეტაკი თოვლის ნაწი ფიფქები ნელ-ნელა ეშვე-
ბა დედამიწასე. ძმუნეირი სანახავია ამ დროს სოფელი. ირგული
ძუდროებაა. თოვლი დედამიწას საბანივით გადასურვია, კლესი კი
ისვენებს, მიმჯდარა შვილებიანად ბუსართან და არსეინად დიდინებს:

სანოვაკე მივინახე —

ფქელი, კვრცხი, ვუელი, სილი,

არსეინად დაუისვენებ,

აღარა მძქეს გასაჭირი.

ასე ძღვროდა კოლძეურნე კლესი, ბავშვები კი ბუსარმი კარტოფილს
წვაუდენ და უსმენდენ ძამის სიმღერას. იმათი დედა ბავშვებს თბილ
ტანისამოსს უკერავს, რომ ცივ სამთარში ბავშვებს არ შესცივდეთ.
ფისუნია კი ბუსართან მისკუწულა და არსეინად კრუტუნებს.

III გვუფის მოწაფე ლეილა თაბუკაშვილი.

სისხლიანი კვირა.

კათეთრებულია მიდამო,
ძალით ცრემლებს ღერის ზეცაო,
მოწეენილ მიდამოსედა
სხივებს არ აფრქვევს მსეცაო.
ზეტერბურეს უინავს და უინავს...
ძალი არ გაიკლებო,
მსოლოდ ხალხის ბრბო ერთად
მეფისკენ ეშურებო.
აი, სანახლე ცამანდა,
იჭექეს სარბასნებმაო,
წითლად იღებს ღოვები
ქალაქის თეთრმა გზებმაო.
ხალხი კუნესოდა დაჭრილი,
სისხლის ნაკადი დიოდა,
მათ კვამსე მეფის ცხენები
ჭენებით გადადიოდა.

თ. ჟორჯოლიანი.

ქართული
საბავშვო



ბავშვს წითელფლოტელთა საბავშვო ბავა.
ლენო ტკაჩენკო და ბიანა რამიშვილი სასაუბროდ მიდიან.

რედაქციის მისამართი: ტფილისი,
აღმასკომის ქ., № 7. სახელგამი.

პ/მგ. რედაქტორი: ირ. აბაშიძე.
პ/მგ. მდივანი: ელ. ავღამე.

სახელგამის მე-2 სტამბა: ტფილისი. ლენინის ქუჩა, № 3.
ტირაჟი 3.414 შეკვეთა. 138. მთავლ. რწმ. № ა-604.



დ. მინაძე 1935